№1782 2015 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი

ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 2^2 პუნქტის საფუძველზე, ამ პუნქტის „ა – ე“ ქვეპუნქტებში მითითებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა 2015 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყონ მათთვის კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლებით მიღებული სახსრებიდან ამავე ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვა:

ა) სსიპ – შემოსავლების სამსახურმა - 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი;

ბ) სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ – 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი;

გ) სსიპ – აღსრულების ეროვნულმა ბიურომ – 4 800 000 (ოთხი მილიონ რვაასი ათასი) ლარი;

დ) სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ - 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი;

ე) სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ – 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, ამავე პუნქტით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების ცვლილება არ საჭიროებს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**